

ხელმძღვანელი: რ. ცეცხლაძე

გურიის სამთავროს საეპისკოპოსოები და მღვდელმთავრები

სალომე გაგუა
ოზურგეთის რაიონი
კ. მეგრელიძის სახელობის
სოფ. შრომის საჯარო სკოლა
VIII კლასი



ოზურგეთის მშენებარე ტაძარი

XV საუკუნის საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია ქვეყნის სამთავროებად დაშლა. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა გურიის სამთავრო.

გურიის და ოდიშის ერისთავთ-ერისთავები გურიელი და დადიანი მთავრებად აღზევებას ლამობდნენ. გურიის მხარე ეკლესიურად ქუთათელ მღვდელმთავრების სამწყსოს წარმოადგენდა. გურიელი სრულ დამოუკიდებლობას ვერ მიაღწევდა თავის სამთავროში, თუკი

მხოლოდ პოლიტიკური, ხოლო ეკლესიურად მის საგანმგებლოში იმერეთის სამეფოს ერთ-ერთ საეპისკოპოსოს დაემორჩილებოდა. მას პოლიტიკურ ძალაუფლებასთან ერთად ესაჭიროებოდა თავისი ნება-სურვილის აღმსარებელი საეკლესიო პირები, ამიტომ ლოგიკურიც იყო, რომ გურიის სამთავროში საეპისკოპოსოთა დაარსება გურიელთა ინიციატივით მოხდა. გურიის ეპისკოპოსების კურთხევა XV საუკუნის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო. აფხაზთა კათალიკოსის მიერ, ვიდრე ეს უკანასკნელი და იმერთა მეფე დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ, უფრო მეტიც, XV საუკუნის მეორე ნახევარში ისინი უკვე აღარ დაუშვებდნენ ახალი საეპისკოპოსოების დაარსებას და ამით გურიელის გაძლიერებას. ამჟამად იმერეთის მეფეც და აფხაზთა კათალიკოსიც საკუთარი პოზიციების განმტკიცებაზე ზრუნავდნენ დამთელ დასავლეთ საქართველოზე აცხადებდნენ პრეტენზიას. ასე, რომ გურიელებმა შესაფერისი დრო გამოიყენეს და გარემოების მიერ ბოძებული საშუალება ხელიდან არ გაუშვეს.

გურიაში სამი საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა: შემოქმედის, ჯუმათის და ნინოწმინდის. მათი დაარსების შესახებ მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი. იგი აღნიშნავს: `შემდგომად განყოფისა სამეფოთა გურიელთაგან დაადგინეს სამნივე ესე ეპისკოპოსნი.~ ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ამ წყაროებიდან ვიგებთ, გახლავთ ის, რომ სამივე საეპისკოპოსო ერთდროულად დაუარსებიათ, მაგრამ ვახუშტის ცნობაში ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება იგი აღნიშნავს, გურიაში ეპარქიების დაარსება მოხდა `შემდგომად განყოფისა სამეფოთა, XV საუკუნის მეორე ნახევარში. ჩვენ კი მოგვეპოვება ცნობა შემოქმედის სიძველეთა შორის აღმოაჩინა ოქროთი დაფერილი ვერცხლის ჯვარი, რომელზეც შემდეგი შინაარსის წარწერა იყო დატანილი: `ნებითა [და] შეწევნითა ღმრთისაითა ჩვენ პატრონმა გ(უ)რ(ი)ელმ(ა)ნ გ(იორ)გ(ი) პატრონმა ელენ(ე) დ(ა) ძეთა ჩ(ვენ)თა მამიამ და ქ(ე)იუ(უ)ბალი დავსვი შემოქმედის ეპისკოპოსი და დავდევიტ ომფორი.~ `დავდევიტ ომფორი~ ნიშნავს საეპისკოპოსო კათედრის დაარსებას. შემოქმედის საეპისკოპოსოს დაარსება შეგვიძლია განვსაზღვროთ წარწერაში მოხსენებული პირების გიორგი გურიელისა და ელენე დედოფლის მიხედვით. სხვა მრავალ წარწერაშიც მოიხსენიებიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ლიხაურის სამრეკლოს თარიღიანი წარწერა, სადაც ვხვდებით მათ სახელებს. ეკლესია 1352 წელს კახაბერ გურიელ-ვარდანძე ერისთავთ-ერისთავს აუგია, ხოლო სამრეკლო გიორგი გურიელს მიუძღვნება. აი, რა არის ნათქვამი ამ წარწერაში: `ქ რი ყოვლადწმინდაო ღვთიოსმშობელო რეხეულისაო შეიწყალე გიორგი გურიელი და დედოფალი ელენე ამინ.~ ქრონიკონი 110 უდრის 1422 წელს. მაშასადამე, გიორგი გურიელი XV საუკუნის პირველ ნახევრის მოღვაწე

ყოფილა და თავისთავად ცხადია, ამავე ხანებში უნდა დაეარსებინა შემოქმედის საეპისკოპოსო და მასთან ერთად ჯუმათისა და ნინოწმინდის ეპარქიებიც.

შემოქმედი გურიის სამთავროს ერთ-ერთი უძლიერესი საეპისკოპოსო იყო, გურიელთა სახალხო მამულში აღმოცენებული, ამიტომ შემოქმედის საეპისკოპოსო საყდარი გახლდათ `გურიის მთავარი ტახტი და ტაძარი~, ამასთანავე გურულთა სამცხლე. ძალიან ხშირად შემოქმედი ეპისკოპოსის პოსტს სამთავროს სახლიდან გამოსული ბატონიშვილები აჭერდნენ. შემოქმედი მღვდელთმთავრები მთავარეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის წოდებას ატარებდნენ, რითაც იმ პრიორიტეტს იღებდნენ, რომ გარდა შუა გურიისა, მთელი გურიის უმაღლეს სასულიერო ხელისუფლად ითვლებოდნენ. მათი რეზიდენცია გახლდათ მაცხოვრის ფერიცვალების ეკლესია. შემოქმედის მონასტერი მდ. ზუჟუის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, ოზურგეთიდან სამხრეთ-დასავლეთით 7-8 კმ დაშორებით. იგი დაბალ მთაზეა აშენებული და როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: `ციხე ასკანისა სამხრით, მთის ძირში არს შემოქმედი, ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი, შემკული ყოვლითა იყო ესე საარქიმანდრიტო აწ არს საეპისკოპოსო.~

შემოქმედის ხუროთმოძღვრული კომპლექსი სხვადასხვა ნაგებობებთან ერთად ორ ძირითად ეკლესიას შეიცავს ეს გახლავთ შემოქმედის ღვთაების ეკლესია, რომელიც XV საუკუნის პირველ ხანებში უკვე არსებობდა, ხოლო მეორე `ზარზმა~, XVI საუკუნის მიწურულს განეკუთვნება. იგი საგანგებოდ ააგეს მასხეთის ზარზმის მონასტრიდან XVI საუკუნეში გადმოტანილი სიწმინდეების დასასვენებლად. ეკლესიამაც სახელი აქედან მიიღო. ზარზმიდან უძვირფასესი ხატები გადმოასვენეს შემოქმედში. მათ შორის აღსანიშნავია 1008 წლის ვერცხლის ფირფიტა გარდამოხსნის, საფლავად დადებისა და მენელსაცხებლე დედათა გამოსახულებით.

შემოქმედის საეპისკოპოსო მოიცავდა მდ. სუფსასა და კინტრიშს შორის მოქცეულ ტერიტორიას. შემოქმედის ეპარქიის მნიშვნელოვანი ტაძრები გახლდათ: ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესია, ქაქუეთის მაცხოვრის, ვანისქედის ნათლისმცემლის, ოქროსქედის მთავარანგელოზის, ბასილეთის წმ. ბასილის, გორისფერდის წმ. გიორგის, მაკვანეთის მთავარანგელოზის, უჩხოზის წმ. გიორგის, ბახვის ღმრთისმშობლის, აჭის წმ. გიორგის და სხვა ეკლესიები.

ჯუმათის საეპისკოპოსო გურიის სამთავროს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა. ტაძარი აღმართულია ჩოხატაურის ქედის უმაღლეს თხემზე, საიდანაც უმშვენიერესი ხედი იშლება. ხელის გულივით მოჩანს გურიისა და სამეგრელოს სანახები. ჯუმათის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილიც მოგვითხრობს: `არს ეკლესია ჯუმათის, დიდი გუმბათიანი, დიდშენი, მჭურეტი ზღვისა და გურია-ოდიშისა. არამედ ზამთარი გაუსამლისი და ზაფხული კეთილჰაეროვანი, საამო.~ ვახუშტი ბატონიშვილი ცდება, როდესაც ჯუმათი გუმბათიან ტაძრად მიაჩნია. სინამდვილეში ეკლესია უგუმბათოა, ასევეა იგი აღნიშნული 1737 წლის ლიხთიმერეთის რუკაზეც.

ჯუმათის საეპისკოპოსო შემოქმედის შემდეგ ყველაზე თვალსაჩინო როლს ასრულებდა, გურიის სამთავროს ისტორიაში. იგი ჯუმათელ ეპისკოპოსთა მდიდარი და პატივცემული კათედრა იყო, ჰქონდა დიდძალი უძრავი ქონება და ძვირფასი ხატები. ჯუმათის ტაძარს გარს გალავანი ჰქონდა შემოვლებული. გალავანში დატანილი იყო თლილი ქვით აგებული კვადრატული სამრეკლო, რომელსაც ექვსსარიკმლიანი გუმბათი, კარი და ქვის კიბე ჰქონდა.

ნინოწმინდა შემოქმედთან და ჯუმათთან ერთად გურიის ერთ-ერთ საეპისკოპოსოს წარმოადგენდა. იგი გურიის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა მდ. კინტრიშის ხეობაში.

ნინოწმინდის საეპისკოპოსო საყდარი ძლიერ დაზიანდა მას შემდეგ, რაც ოსმალებმა შეძლეს ქვემო გურიის მიტაცება. შემოჭრილ მტერს ტაძრისათვის ცეცხლი წაუკიდებია და თუკი რამე ხის ჰქონდა ეკლესიას ყველაფერი დამწვარა, მხოლოდ ქვის გამურული კედლები დარჩენილა.

გურიის საეპისკოპოსოები XV საუკუნეში ჩნდებიან. ამდროისათვის ეპისკოპოსების ქრონოლოგიური რიგის დადგენა მეტნაკლებად ხდება, ამიტომ თქვენს ყურადგებას მხოლოდ ზოგიერთ ეპისკოპოსზე შევაჩერებთ.

XVII საუკუნის ცნობილი სასულიერო მოღვაწე გახლდათ მალაქია გიორგი II გურიელის ძე. მას ჯუმათის საეპისკოპოსო კათედრა ეკავა. ამასთანავე ის ცაიშელ-ხონელი მთავარეპისკოპოსი და აფხაზეთის კათალიკოსი იყო.

აღსანიშნავია, რომ მალაქია გურიელი, გარდა იმისა, რომ გახლდათ კათალიკოსი, 1825 წლიდან გურიის მთავარიც იყო. მაშასადამე, ითავსებდა როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლებასაც.

XVIII საუკუნის 20-30-იანი წლები ის პერიოდია, როცა საქართველოთი დიდად ინტერესდება რომი. მალაქია კათალიკოსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რომის პაპთან ურთიერთობას. 1634 წელს ოზურგეთში ჩამოვიდნენ კათოლიკე მისიონერები. პატივი და გულთბილი მიღება არ დაუკლია მათთვის მალაქიას. მისიონერები მოგვითხრობდნენ, რომ მალაქია ვის გარდაცვალებისას პაპის მიერ ნაბოძებ ოქროს მედალს ამბოროს უყოფდა, რომელიც მისიონერთათვის ხელშეწყობის გამო მიუღია.

მთავარი და კათალიკოსი მალაქია ერთ-ერთი მოწინავე პიროვნება იყო, XVIII საუკუნის I-ნახევრის საქართველოში. სამი საეპისკოპოსო კათედრის დაჭერით და კათალიკოსებით მოიხვეჭა ფრიად დიდი ძალა, კერძოდ, ეკლესიურ ცხოვრებაში ის ცდილობდა წეს-რიგის შეტანას. მისი ბრძანებით შედგენილი იქნა საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი. ის საზოგადოდ ესწრაფოდა ეკლესიის სამეურნეო მხარე ჯეროვან დონეზე დაეყენებინა.

მალაქია კათალიკოსმა ღრმა კვალი დატოვა დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, გურიის ისტორიაში. მისი შემწეობით განაახლეს და შეამკეს მრავალი ეკლესია-მონასტერი.

მალაქია კათალიკოსი დიპლომატიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი ლევან აბაშიძესთან ერთად ელჩად იყო წარგზავნილი შაჰ-აბას I-თან.

მალაქია კათალიკოსი 1639 წელს აღესრულა 62 წლის ასაში.

გურიის ეპისკოპოსთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია შემოქმედელ მიტროპოლიტ იაკობ დუმბაძეს.

იაკობ დუმბაძემ თავდაპირველი განათლება ტრაპიზონში მიიღო, შემდეგ შემოქმედის ეპისკოპოსი გახდა. 1687 წელს იმოგზაურა რომში, დიდი პატივით მიიღო პაპმა ინოკენტიმ და საიდანაც შვიდი მისიონერის თანხლებით დაბრუნდა სამშობლოში. სიბერის ჟამს მან იმოგზაურა ათონის მთაზე და იერუსალიმში, სადაც დაასრულა კიდევ თავისი ცხოვრების დღენი და როგორც ვარაუდობენ იქვე მიაბარეს მიწას.

იაკობ შემოქმედელი XVII საუკუნის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ. იგი მოღვაწეობდა როგორც პოლიტიკურ ასევე ლიტერატურულ სარბიელზე. ამ მხრივ მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

იაკობ დუმბაძის მოღვაწეობა მხოლოდ მწერლობით არ ამოიწურებოდა. იგი დაუცხრომლად ზრუნავდა თავის ეპარქიისა და საეპისკოპოსოს საყდრის განახლება აღორძინებისათვის. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა რომთან.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში გურიის სამთავრო საგარეო მდგომარეობა მეტად გაუარესდა. ოსმალთა გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად გურიის საეპისკოპოსოები გაუქმდა.

გურიაში საეპისკოპოსოების აღსადგენად 1777 წელს ჩავიდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მაქსიმე II. მან გიორგი გურიელთან შეთანხმებით აღადგინა შემოქმედისა და ჯუმათის კათედრები.

შემოქმედისა და ჯუმათის კათედრები, მართალია, აღადგინეს, მაგრამ ოსმალთა აგრესიის საფრთხემ კვლავ შეაფერხა სულიერი ცხოვრება შემოქმედში. ამიტომ შემოქმედელი ეპისკოპოსი იოსები იძულებული გახდა დაეტოვებინა კათედრა. იოსებ თაყაიშვილი დოკუმენტებში ყველგან გვხვდება როგორც `შემოქმედელი მიტროპოლიტი ჯუმათელი იოსები~ იოსები თაყაიშვილი 1794 წელს გარდაიცვალა.

იოსებ თაყაიშვილი უკანასკნელი შემოქმედელი გახლდათ, მაგრამ მის შემდეგ ამ წოდების მატარებელია ჯუმათელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ ერისთავი 1827 წელს გარდაიცვალა ნიკოლოზ ჯუმათელი მიტროპოლიტი. 1833 წელს ჯუმათის ეპარქია გააუქმეს. 1844 წლის 1 აპრილს გურიაში კვლავ აღადგინეს საეპისკოპოსო გურიის ეპარქიის სახელწოდებით. კათედრალური ცენტრი ჯუმათში გახლდათ.

იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს საეკლესიო სათავეში რუსი ეგზარხოსები ჩადგნენ. დაიწყო საეკლესიო განძეულობის დატაცება. მათ შორის რამდენჯერმე გაიმარცხა შემოქმედისა და ჯუმათის ტაძრები. გატანილი და გაყიდული იქნა უნიკალური მინანქრის მრავალი ხატი.

1917 წელს საქართველოს საეკლესიო დამოუკიდებლობა აღსდგა. 1920 წელს შეიქმნა ბათუმ-შემოქმედის ეპარქია. იგი გურიისა და აჭარის რეგიონს მოიცავდა. ამ საეპისკოპოსოს XX საუკუნეში შემდეგი მღვდელმთავრები განაგებდნენ:

1. მიტროპოლიტი გიორგი (ალადაშვილი) – 1920-1922
2. ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე) – 1923-1924, 1930-1935
3. ეპისკოპოსი ნესტორი (ყუბანეიშვილი) – 1924-1926
4. მიტროპოლიტი იოანე (მარგიშვილი) – 1926-1928
5. ეპისკოპოსი ალექსი (გერსამია) – 1928-1930
6. ეპისკოპოსი გაბრიელი(ჩაჩანიძე) – 1953
7. მიტროპოლიტი ეფრემი (სიდამონიძე) – 1953-1960
8. ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი) – 1963-1967
9. მიტროპოლიტი მომანოზი (პეტრიაშვილი) – 1974-1978
10. მთავარეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა) – 1978-1981
11. მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი) – 1981-1986
12. მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე) – 1896-1992
13. ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაიძე) – 1992-1993
14. ეპისკოპოსი იოსები (აქიაშვილი) – 1993-1995

1995 წლის 7 აპრილს აღსდგა შემოქმედის ეპარქია. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესისი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. შემოქმედის ეპარქია აერთებს ოზურგეთს, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებს.

ნინოწმინდელ ეპისკოპოსებზე ცოტა რამ ვიცით. ნინოწმინდა, ვინაიდან გურიის სამხრეთი ნაწილი იყო, ხშირად არბევდნენ თურქები. `გათათრების~ საფრთხე ხშირად დამუქრებია მას, ამიტომ ხშირმა აგრესიამ, დევნამ ბევრი მნიშვნელოვანი, ძვირფასი მასალა აქ მოღვაწე სასულიერო პირებზე გადაკარგა.

აქ მოღვაწე პირთაგან მაქსიმე II იქცევს ყურადღებას. იგი XVII საუკუნის 50-იან წლებში აქტიურად მოღვაწეობდა, ეს ის პერიოდია, როცა ქველი მეფე იმერეთისა სოლომონი ებრძვის ტყვეთა ვაჭრობას. 1795 წელს ტარდება საეკლესიო კრება, რომელმაც თურქთა ბატონობის წინააღმდეგ შეიმუშავა გარკვეული ღონისძიებები. აქ შეკრებილ სასულიერო პირთა შორის მოიხსენიება მაქსიმე როგორც `ხონტქრის~ ნინოწმინდელი ეპისკოპოსი, მამია გურიელიც ასევე იწოდება `ყმა ხონტქრისა, ხანი გურიისა მამია~. ეს წოდებაპოლიტიკური ვითარების მძიმე სურათს ნათლად წარმოგვიდგენს.

ნინოწმინდელი მაქსიმესსახელს ვხვდებით მოჭედილი ჯვრის წარწერაში, მაგრამ ჭირს იმის დადგენა, რომელ მაქსიმეზეა საუბარი I-სა და თუ I-ზე. ვინაიდან სავანეთიდან მოხვდა ჯვარი იმერეთში, ვარაუდობენ, რომ ხინოს მხარის თურქების მიერ მიტაცებისა გამო გურიიდან გადაიტანდნენ ჯვარს სვანეთში, სხვა ნინოწმინდელებთან ერთად დაცვის მიზნით.

იოანე წუწუნავს ეპისკოპოსობის დროს, დიპყრეს თურქებმა ქვემო გურია, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა საეპისკოპოსოს გაუქმება. იოანეს ეპისკოპოსობა XVII საუკუნის 60-70-იან წლებს უკავშირდება. დევნილი ეპისკოპოსი საქრისტიანო გურიაში გადაიხიზნა, მრევლის ნაწილიც მიჰყვა. ეპისკოპოსმა თან წამოიღო ღვთისმშობლის ოქროს ხატი, რომელიც 1905 წელს მმარცველებმა გაიტაცეს და დაიკარგა. არსობს გადმოცემა, რომ ხატი გამოჩინებული მონასტერში თავად იოანემ გადმოიტანა.

ჯუმათელი ეპისკოპოსებო – სვიმონ ჩხეტიძე ჯუმათელ ეპისკოპოსთაგან გამორჩეული მღვდელთმთავარი იყო. ის მოღვაწეობდა XVI საუკუნის I ნახევარში. ჩხეტიძეების გვარის დაწინაურებას ხელი შეუწყო იმერეთის მეფე ბაგრატ III, რადგან ეს გვარი იმერეთის ბაგრატიონების აპოლოგეტიც და მომხრე, ჩხეტიძეების საგვარეულოს წარმომადგენელი იყო, ჯუმათელი ეპისკოპოსი სვიმონიც. ფიქრობენ, მისი აღსაყდრება უკავშირდება ისევ ბაგრატ III-ის სახელს. სვიმონი ბაგრატ III-თან ერთად , , ტყვეთა გაყიდვას. საერო ხელისუფალნი ხვდებოდნენ, რომ ეკლესიის თანადგიომისა და გაძლიერების გარეშე შეუძლებელი იყო ძლიერი ხელისუფლების შექმნა.

XVII საუკუნის დასაწყისში ჯუმათის კათედრა, მალაქია გურიელმა დაიკავა. იგი გიორგი გურიელის უმცროსი ძე იყო, ამიტომ ბავშობიდანვე სასულიერო მოღვაწეობისათვის ამზადებდა. უაღრესად განათლებული და სასულიერო პირებში ავტორიტეტული მალაქია თანდათან გაძლიერდა და XVII საუკუნის დასაწყისიდან იგი განაგებდა დასავლეთ საქართველოს ორ კათედრას, ჯუმათს და ცაიშს. შემდეგ აფხაზთა კათალიკოსად აკურთხეს, უფრო გვიან კი, ხონის მთავარეპისკოპოსად. საქართველოს ისტორიაში იშვიათია შემთხვევა, რომ პიროვნებას ასე შეეთავსებინოს, სასულიერო ძალაუფლებასთან ერთად საერო ხელისუფლებაც, რასაც ფლობდა მალაქია გურიელი.

მალაქიამ მოახატვინა ცაიშის ტაძარი, მიწისძვრამ ეს ტაძარი დაანგრია, მაგრამ მალაქიამ ხელმეორედ ააშენებინა, მოახატვინა და ჯვარ ხატებით მოაქარგვინა ეს ტაძარი. მისივე მოწადინებით აშენდა ჯეგეთას ეკლესიაც. მან ბრწყინვალედ მოაწესრიგა აფხაზთა საკათალიკოსო სამეურნეო საქმიანობა. მან გაზარდა ყმა-მამულის რიცხვი და ასევე სასახლეთა რიცხი. რადგან სასახლეების მეშვეობით წარმოებდა მამულებში ბეგარის აკრეფა.

ჯუმათელ მღვდელთმთავართაგან აინტერესოა მაქსიმე მჭუტაძის მოღვაწეობა. იგი ჯუმათის კათედრას განაგებდა XVII საუკუნის 60-70-იან წლებში. მოგვიანებით ბოვნელი ეპისკოპოსი გახდა.

1676 წელს ვახტანგ V შაჰნავაზის ძე ლევანმა იქორწინა თუთა ქაიხოსრო გურიელის ასულზე. თუთა გურიელის ამაღლაში იყვნენ ძმები ონოფრე და მაქსიმე მჭუტაძეები. ონოფრე 1690 წელს დაინიშნა დავიტ გარეჯის უდაბნოს წინამძღვრად, ხოლო მაქსიმე ბოლნისის ეპისკოპოსად. ონოფრე კულტურის დიდი მოღვაწე გახდა, მას `შეორედ აღმაშენებელს~ უწოდებდნენ. ამ საქმეში მისი თანამდგომი იყო მაქსიმეც.

მაქსიმეს აღმოსავლეთში გადასვლის შემდეგ ჯუმათის კათედრა მაქსიმე II შარვაშიძემ დაიკავა, მას `დიდ ჯუმათელს~ უწოდებდნენ. მაქსიმეს უცდია განეახლებინა კავშირი კათოლიკე მისიონერებთან. ამ დროს გორში კაპუცინელი მისიონერები იმყოფებოდნენ. 1677 წელს გიორგი III გურიელმა და მაქსიმე მიტროპოლიტმა კაპუცინელებს გაუგზავნეს დესპანები და სთხოვეს გურიის სამთავროში ჩამოსულიყვნენ.

ჯუმათის ეპისკოპოსობა შარვაშიძეთა დაგვარეულომ დაიმკვიდრა. მათ სამკვიდრო სახელოს წარმოადგენდა ერკეთის მონასტრის წინამძღვრობა. ერკეთის წინამძღვარი მაქსიმე შარვაშიძე XVIII საუკუნის 50-იან წლებში ჯუმათის მეტროპოლიტი გახდა.

გურიის სამთავროში, ოსმალთა მიერ წარმოებული აგრესიული პოლიტიკისა და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო მონასტრების ნაწილი გაუქმებული იყო.

1772 წლის `დიდი თურქობის~ შედეგად საეპისკოპოსო კათედრებიც გაუქმდა. შეეკლესიო მამულები საერო პირებმა დაისაკუთრეს. ამ ნიადაგზე ჯუმათელ მაქსიმე IV-სთან კონფლიქტი ჰქონდათ დავით გიორგის ძე გურიელისა და ვახტანგ გურიელს.

ჯუმათის უკანასკნელი ეპისკოპოსი ნიკოლოზ II გახლდათ. იგი გარდაიცვალა 1827 წელს.

1844 წლის 1 აპრილს გურიაში აღადგინეს საეპისკოპოსო, გურიის ეპარქიის სახელწოდებით. 1885 წლის 12 ივნისს გურია-სამეგრელოს ეპარქია გაერთიანდა.



წმ. ნინოს ხატი
(ეთნოგრაფიის მუზეუმის
ერთ-ერთი ექსპონატი)